სააპელაციო საბჭო

13/02/2025

MES 0 25 0000148645

გადაწყვეტილება

"შპს სკოლა თამარიონი+- სთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ" ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 02 დეკემბრის №1544249 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს სკოლა თამარიონ+ - ის სააპელაციო საჩივრის (№1619267, 17/12/2024) საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, 2024 წლის 02 დეკემბრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1544249 გადაწყვეტილებისა და №1543248 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სკოლა თამარიონი+- ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. გაზიარებულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის №1544249 გადაწყვეტილება.
3. სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №146851 ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონული
ფორმატი
ელექტრონული